სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

17 / თებერვალი / 2025 წ.

KARR0119803574325

№ **1-1/5**

ბრძანება

URECKI - შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (56992 კვ.მ.) არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2025 წლის 13 თებერვლის №162/09 განცხადებით მომართა შპს "ვი არ შეკვეთილი რესორტ"-ის (ს/ნ 404661969) დირექტორის ნოშრევან ნამორაძის (პ/ნ 01018000728) მინდობილმა პირმა მოქალაქე ლუკა ჩაგანავამ (პ/ნ 01017043074) (შემდგომში: დაინტერესებული პირი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა URECKI-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 56992 კვ.მ. არეალზე (დანართი 1-ის შესაბამისად) მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე.

დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (56992 კვ.მ) განთავსებულია URECKI-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და „URECKI-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, მასზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 2 (შზ-7), სხვა სპეციალური ზონა (სპზ-2), გამწვანებული ტერიტორია, სატრანსპორტო ზონა და სანიტარული დაცვის ზონა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული "სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „URECKI-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6),

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე